ღიუმონ. არა კმარი! აგრ შვიდი წელიწადი!... გესმით თუ არა? შვიდი წელიწადი, ჩემდა უნებურად, უღილესად განა კენებოდა ჰეგენასს. მასხარედა ჰედებოდო იმიტომ რომ გენდეთ... იქნება ეგონათ კიდევ რომ მე ვიცოდია ამ ხავადი არას გამბობდი... მე ხომ ხელი გამომართეთ თქვენს... მე თქვენი გადა მშრომელის

ალგარეზ. მერე....

ღიუმონ. და თქვენ მოვალედაც მინდა დავრჩე.

ალგარეზ. ეგ რადას ნიშნავს?

ღიუმონ. ერთი რჩევა მინდა გვითხოთ.

ალგარეზ. მე უნდა მკითხოთ რჩევა! არა ხუმრობთ თუ?

ღიუმონ. აა მესუმრება და ყოფაში!... თქვენსა გგონიათ რომ
ამ ორს საათში კერძევდებდი მომეფიქრებინა რამე.

სანდისხან ფიქრი ეფლასავით სწრაფია. მესმის რასაც ჩავ-
დიგარ. ღვთის ძაღლით, ჯერ სოულს ჭიჭატედ, გულ-
მაგრადა გარ!... ამასაც ხომ კერძე დამიშლით. მე რომ
როდისმე დიდს გაჭირებაში სელი გამემართა თქვენთვის დ
მას შემდეგ ერთად დაგვეწყო საქმე; მე რომ თქვენი გუ-
ლითადი მეგობარი გავმხდარვიყავ და როგორც მეგობარს
შემეცდინა თქვენი ცოდნი; მე რომ შვილი მომცემოდა
და ჩემს შვილს თქვენი სახელი ჰქონოდა, რას იზამდით
მაშინ?... გამეცდით პასუხი.

მატილდა. (დაჩოქილი) ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!

ალგარეზ. არის იმისთხა მდგომარეობა, როდესაც მსოფლი-
თავის თავისა და თავის ღირსებას ეკითხებან.

ღიუმონ. მაშ არას მეტყვით?

ალგარეზ. ჩემგან ჭიუის სწავლება არ გაჭირვებათ.

ღიუმონ. მაშ შემოძლან სიტყვებით ავსნა თქვენი დუმილ?

ალგარეზ. ნება თქვენია.

ღიუმონ. ჩემს ადგილას რომ ყოფილიავით, ურცხვსა და
უსინიდისოს დამიძახებდით, იქნება სილაც გავერტყათ...

ღუელის მოსახლენლად. იმისთხა მდგომარეობას მე და
თქვენისთხა კაცს შეგ, სისხლი მოსდევს ხოლო.

ალგარეზ. იქნება! (მაცილდა შეშინებული უკის უჩვეულს.)

ღიუმონ. მე ამისთანა საჭმეში უცხო კაცს მოწმად არ და-
გისწოდობ. ეს საჭმე მხრილოდ მე და თქვენ უნდა გაცო-
დეთ... დუღლში რომ კერ მოძევალით, რიღადღა მოვი-
ოხებდი გულსა და თქვენ რომ მოგვიალით, სად იქნე-
ბოდა სამართალი!..

ალექარეზ. მაშ...

ღიუმონ. მე გადავშინჯე კანონები და მინდოდა შემეტუო,
რა ნუგე შე მიქადიან. მე ნება მაჭვს, მოგვლათ თქვენ,
თქვენცა და ებეც. მე ნება მაჭვს დავატუებეთ ჩემი ცოლი
და საჭვეულოდ ნამუსი აჟადო... მე ნება მაჭვს გავეყარო
მშვიდობიანად... რაც უნდა მოხდეს, მაინც იმას უპატი-
ურება რჩება წილად, მე მასხარად აგდება, ბავშვს კი
სირცხვილი, თუმცა ბრალი არა აჭვს... სასტი-
კი კანონია... უნდა აცილებინა ეს ამბავი... მე მიტებე-
ბის უფლებადა მაჭვს... რა კქნა—მინდა მოგირტევოთ,
მაგრამ მეც კაცი კარ და ლონე აღარ მომდევს, თუმცა
სურვილი კი დიდი მაჭვს, მაღლა კიდგე თქვენზედ. რაც
უნდა მხერვალე უოვილიყო თქვენი სიუკარული, მაინც
ისე არ იქნებოდა, არ წამოწითლებულიავით, არ გეგ-
რძნოთ, რა ცეცხლშიაც ჩამაგდეთ... რა გამოუთქმებს,
უშედებელს ტანჯვაში... თქვენ წამიწუმიდეთ ჩემი გუ-
შინდელი... ჩემი დღვეანდელი... ჩემი ხვალინდელი ბედ-
ნიერება... წამართვით ცოლის სიუკარული... ფუჭად ჩა-
მიტარეთ მამის იმედი... ფუჭად ჩამიტარეთ თვით თქვენ-
დამი მეგობრობაც... ამ გულში მარტო თქვენ სამნი
მუვანდით!...

ალექარეზ. (ალელვებული) ბატონო ჩემო! (მაცილდა დაჩოქილია
და ჩუმადა ცირის.)

ღიუმონ. საზოგადოებასაც უნდა სხვათიც ვაჩვენო საქართველოს დაწყების ქვეთი ჩემს თვალშის წარმომადგენელია საზოგადოების: ფუჭი, უსამართლო, დამტკიცავი, ესლა მოჰეკება მითქმა-მითქმას და შეჯუანაც განიმეორებს მის ხათქვემს. აი რასა გთხოვთ: თქვენ, ალვარეზ, ამ ხედამოსი მომთხოვეთ განასახის ძალით თქვენი ფული სრულად და მომთხოვეთ დახაშულს ვადამდე უს შე გამაღარიბებს.

ალვარეზ. ეგ ხომ უსინიდისობაა ჩემგან.

ღიუმონ. განა თქვენგან ეგ პირველი და უკნასენელი იქნება!

ალვარეზ. მერე...

ღიუმონ. ნუ თუ გრონიათ რომ ესლა ერთს გრიშმაც არის დავირჩენ იმ ქანებიდამ, რომელიც თქვენით შევიძინე?... მე მინდა რომ ესა მოიქცეთ დეგენ. მე მინდა გაგრატაგ-დე და გვერდატაგ-დე თქვენის მიზეზით.

ალვარეზ. მე რომ ეგ არ მოვიხილომო?

ღიუმონ. თქვენ ხომ იცით რომ ჩემი სიტყვა ჩემს დღეში არ გამიტესია... თუ ან ერთი, ან მერე გადასცალთ ჩემს სიტყვას, ჩემს ბმასებას, მამინ, პატილსნებას გეფხცებით ერთს წერსაც აღარ უაცოცხლებ ჩემ თავს. მე დავტოვებ წერილს ინდერმდე რომ ქვეყნის მიმით ხამდევლი მიზეზი მეტაც მეტყერება.

ალვარეზ. თქვენ გინდათ სინიდისზედ სული ამაღებინოთ.

ღიუმონ. (წასკლას პირებს.) გადასწუვატეთ!

ალვარეზ. ავასრულებ თქვენს სიტყვას...

ღიუმონ. ძალის კარგით თქვენი ანგარიშები სრულებით გასწორებულია და ამ ერთს საათში ჩაგაბარებენ ფულსა.

თქვენ კი ქალ-მატონთ, მიბძანდით. თქვენს მშობლებთან... თქვენ მომთხოვეთ თქვენი მზითევი და მოიწერეთ რომ არ შეგიძლიასთ სიღარიბის ატანა.

მატილდა. არა, არა... ეგ პატიება აღარ იქნება.

ლიუმონ. მე პატიებას როდი კაპირებ... სხვა-და-სხვა სასჯელში თრივეს უიღოთ სამარცხვინთ ამოვირჩიეთ. სასჯელად უძაღურება გქონდეთ თქმენ!

მატილდა. (ნელა.) მერე ჩემი შვილი!

ლიუმონ. თქვენი შვილი? (მსახურს.) დამიძნე ქანას. (მსახური გადის.) ჩვენ სამში მსოლოდ მე შეგიძლიან პატარასასის ქალად გავზირდო. თუმცა აღარაფერი აღარა მაჭია. მაგრამ კიშრომებ იმდენს, რომ შეკიძლო იმის გაზდა. ბედნიერებაში კაცი გალდებულია იმუშაოს... უბედურებაში კი შრომას გადააყოლებს გულა.

შანა. აი მეც აქა კარ, მამა.

ლიუმონ. აქ მო ქანა. დედა-შენი მდიდარია, სათლია შენი მდიდარია, მე კი გავდორიბდი. სომ იცი რა არის საღარიბე?

შანა. ვიცი, მამა, როგორ არ ვიცი.

ლიუმონ. რომელთან გინდა იცხოვორო ჩვენ სამში?

შანა. შენთან.

ლიუმონ. დედა-შენი მიდის; წაჭულები, თუ აქ დარჩები?

შანა. შენთან დავრჩები.

ლიუმონ. წადი მოქსევე დედა-შენს. (შანა მივა დედასთან, მოეხვევა, მერე ალვარეზისკენ მიბრუნდება, მაგრამ დედა ხელსა სუცებს და დიუმონისკენა ჰეზავნის. ალვარეზ გადის აღელვებული.) ესლა შეგიძლიანთ თქვენ დედა-მამათან მიბძანდეთ. (მა-

ଶୁଣିଲା ଗାନ୍ଧୀସ.—ଦିନୁମନ୍ ପାନାସ ଫାତୁଲ୍ଲେଖିଟ କେଲିବା.) ଗିର୍ଜାରୁକୁବାର,
ତାହାରେ?

ଶାନା. ମନ୍ଦିର, ମନ୍ଦିର, ମନ୍ଦିର! ଏହାର ମନ୍ଦିର ମନ୍ଦିର, ମନ୍ଦିର କିନ୍ତୁକିନ୍ତୁ?

ଦିନୁମନ୍ . (ଶୁଣିଲା ଗାନ୍ଧୀସ, କାହିଁଲେଖିବାରୁ ମାତ୍ରିଲା ଗାନ୍ଧୀସ.) କିନ୍ତୁ
ଏହିକିମ୍ବା?

(ଲାସାସର୍ବତ୍ରିଲାଙ୍ଘିନୀ)

დედა - ენა.

ღვთისგან გაჩენილს უოველს სულიერს,
 ურ-უესს, თუ ოთხ-უესს, სუსტსა, თუ ძლიერს,
 მცურავს, თუ მფრინველს, მღილსა მიწიერს,
 ფუმფულას, თუ მწერს, მძრომსა ბიწიერს,
 მის-მისდა გვარად ებობა სმენა,
 ებობა ღვთისგან მათ მათი ენა.

რომელი როგორ ხმარობს ენასა,
 როგორ გვამხილებს თვისსა ლხენასა,
 ან მწერალებას, ჭირს და წერნასა,
 ვაებას, ჩივილს, გულის ტკენასა,—
 გამგებელა ამისი ზენა,
 ვინც გვიწყალობა ჩვენ ღედა-ენა...

ეს ვიცით მხოლოდ, რომ ღვთის ნებასა,
 ვინც კი გადავა,— შექმნდეს ვნებასა...
 ვერც ვუღალატებთ ჩვენ ბუნებასა,
 მისსა ვანონსა, განჩინებასა ...
 მაშ რას გვარგია იმისი წერნა,
 რომელმაც მოგვცა ჩვენ ღედა-ენა?...

მტრედი კურ შესძლებს კატის ჩხავილსა,
ბულბული — უროვინს, თევზი — ქნავილსა,
ქრავი უმანქო — მელის ხავილსა,
გბრიტი — ჭიხვინსა, ბუზი — ბდავილსა!...
ამ წესსა ვხედავთ ღვთიურსა ჩვენა,
აქ სჩანს ბუნება და დედა-ენა!...

მიუვარს მე ენა ჩემის მშობლილსა,
ორმდითაც «ნანას» მეტყოდა ისა,
ალექს მაგონებს დედისას ისა,
ჩემის ტოლების მღერა-უღიერილსა!...
ენით გცოცხალვარ, მით მიუვარს ლხენა,
მიუვარს სამშობლოს მე დედა-ენა!

ნუ გროსვენის ძმათ, ოცა გაქვს წუენა,
მშობელს ქნაზედ მოთქმა, ფრემლო-დენა!..
აკვანს და სათლავს ნუ ჰქარგავ შენა,
თორემ დაგწევავლის შენც დედა-ენა!..
ენით გცოცხალვარ, ქით მიუვარს ლსენა,
მიუვარს სამშობლოს მე ტბილი ქნა!

თ. რაფ. მრისთავი.

გადაკარგული მხარე.

(«სევსურები და სევსურეთი.» თხზულება დ—რიც გ. რადდესი.)

ზემოხსენებულის სათაურით ამ მოყლე საჩში გამოვიდა აღწერა იმ ქართველების ერთ-ერთის ტომისა, რომელიც აქა-იქ შეჩინოული კავკასიის მთებში და საქართველოს დამცველი წრე შეუდგენიათ. ას უთვილა მიზეზი ამ სალსთავან ასეთის უგზო-უკლო, მნელად საცხოვრებელ ალაგების ამორჩევისა: მარტო მტრებისაგან შეკიროება, თუ კიდევ სხვა რომელიმე მიზეზი—კაცი გადაწყვეტილს ვერას ოტყვის, მაგრამ ჩემის აზრით კი უფრო პირველი უნდა უთვილიყო. რადდეს წიგნში აღწერილ სევსურებს სხვა ჩვენს აძთიულებზედ», უფრო გასა-ჭირი ადგილები ამორტჩევიათ საცხოვრებლად: უგზოობისა და დიდის, გძელის, ზამთრების გამო, ისინი თითქოს მოწყვე-ტილნი არიან მთელს ქვეუნიერებას.

სევსურეთში 50 სოფელამდეა; თითო სოფელში სამოც-სამოცს კომლზედ მეტია დასე მჭიდროდ სხვა ჩვენს მთებში მთაულები არიან არ მოსახლობენ. სევსურებს სრულის სიწ-მინდით შეუნახავთ ჩვენი ქართული ენა; შესანიშნავია მათი სპარტანულად შვილების აღზდა, მათი სპარტანულივე ცხოვ-რება, შატიოსასება, გულადობა, მათი ახილებული ჩაცმა-დასურ-ვა; რომელიც განსაცვიფრებია და საინტერესოა თვით უცხო-ტურისათვისაც და მეტადრე ჩვენ ქართველებისათვის.

ბ. რადდეს წიგნი არის გამოცემული რიგიანის სურათებით და კარგა მოზღვილია. თუმცა მართალია ამ წიგნში ბეჭრი ნაკლულებანებაა, ნამეტნავად ეტნოგრაფიულის მხრით, მაგრამ, ჩვენდა სასირცხვილოდ, ჩვენ ისე ცოტად ვიცნობთ ჩვენს მოძმე მთიულებს და მათ შორის სევსურებსაც, რომ რაც უნდა ნაკლულად იყოს შედგენილი იმათი ამბავი, რაც უნდა ცოტა იყოს ნათქვამი, მაინც უნაუროვნე არ დარჩება და რაოდენსამე სარგებლობას მოგვიტანს. ბ- რადდეს სევსურების ჩვეულება, წესები და ცხოვრება უფრო ბ. რ. ერისთავის წიგნის თხნებით აუწერია და ამას თითონ აკრორიც არა შალავს; ის ამბობს: «...ზოგიერთი, ე. ი. ეტნოგრაფიული ნაწილი მაქვს ამოცაუფილი ბ. რ. ერისთავის თხზულებიდამ, ზოგიც იქ მური ჩინოვნიერებისა და სასულიერო პირთავან ნაამბობი და ალაგობრივ შემოწმებულია...» მაგრამ ბ. რადდესთვის, კერც ბ. რ. ერისთავის თხზულებას, კერც მღვდელ-ჩინოვნიკობას და კერც ალაგობრივ შემოწმებას კერა უშველია-რა. ენის უცოდინარობას ბევრი ისეთი რამ უთქმევინებია, რაც სევსურეთში ან სოფელებით არ არის, ან სულ სხვა მნიშვნელობა აქვს. ესე-კე შეცდომილება სჩანს სხვა-და-სხვა ადგილების სახელებში, რომელიც უწევლოდ არიან დამახინჯებულნი: ამას თითონ აკრორიცა გრძნობს და ამბობს:

«...მაგრამ ამ უკანასკნელების ცნობებსა კე იგი მღვდელებისა და ჩინოვნიერების ნაამბობს და აკრორისაგან. ალაგობრივ შემოწმებულის, «კაცი სიფრთხილით უნდა ენდოს. რომელმა მოგზაურმაც კი არ იცის იმ ადგილის ენა, იძულებულია ცნობის მოსაგროვებლად მიმართოს ან სასულიერო წოდების პირთ, ან იქ მომსახურე ჩინოვნიკობას. პირველი, თუმცა ქართველთაგანი არიან და ადგილად შეეძლოთ, შეესწავლათ სევსურებას.

ბის სხეულის დასიათი, მაგრამ, როგორც სასულიერო წოდების პირნი, ისინი მარტო მართლმადიდებელ ქრისტიანობის გავრცელებასა ცდილობენ. ჩინოვნიერი კი დიდის გულ-მოდგინებით (?) ეძღვიან თავიანთ სამსახურის მოვალეობას და რასავ-ვირველა, არავითარს უურადღებას არ ადეკვებენ თავიანთ ხელში მუთფ-სალხის ჭყუის მოძრაობას...» თხზ. რადგესი გვ. 16.

ა) სხვათა შროის ამ გერად ცნობების შეკრების სა-
უოფი:

კრის ადგილს რადდე ამბობს, რომ ხევსურეთში სხვა-
და-სხვა სოივები ერთსა და იმავე ადგილს სხვა-და სხვა ს-
ხელს არქმევენო.

ეს მე შემცდარს აზრად მიმაჩნია და ამ გვარი შეცდომა
ადვილად აისხნება, თუ კიცით, რა გვარად მოგზაურობდა
რადდე ხევსურეთში.

რადდე მოგზაურობდა, როგორც «უმაღლესის ბძანებით»
დანიშნული. პირი, თანა ახლდა ვიდაცა ჩინოვნიკი. გოჭიევი,
ურიადნიკი, ჩაფრები. და ამ გვარის სვიტით დადიოდა სოფ-
ლით სოფლამდე. სალხი ამ გვარის სტუმრებისაგან უკველ-
თვის რამე უსიამოვნო ამბავს მოელის და ბ. რადდესაც თა-
ვის ჰატივ-საცემის სვიტით, უკველია, ამ გვარის სტუმრად ჩას-
თვლიდა. თუმცა რადდე არც არავის იქვერდა, არც არბევდა და
მარტო გადაჭიდებოდა ხალხს თავისის განუშებერელის კით-
ხეა-ჰასუსით, მაინც შეიძლებოდა ხალხსა ჭირნებოდა, აღბად
ეს კაცი ღუდების ჭვაბებზედ ცნობებსა ჭრებს, მათზედაც ბა-
ჟის დადებას აპირებს, როგორც მაგალითად არყის ჭვაბებზედ
დაადესთ. რა კი სალხში აღიძროდა ამ გვარი კვები, გვე-
ცას შემინდებოდა, არა წამოგვცდეს-რაო და კინ იცის, რა

სახელს არ მოუგონებდენ მთებს, გორაკებს, თუ მდინარეებს, ღლობნებს და უბატიუებელი სტუმრები ჩქარა თავიდამ მოუშორებისთ. ახლა ამას დაუმატეთ უმჭველი ძალის დატანება ურიადნივ-ჩაიგრებისაგან ცხენებისა და სახლების შოგნის დროს, რა გვარს უსიამოვნებაზედაც ბ. რაღდე თავის თხზულების ზოგიერთს ადგილებში გავიროთ ამბობს და ეს სრულებით საკმარისაა, რომ ხალხი გამოსცდლიდა იმათ და ერთი სიტყვაც არ ეთქვა მართალი.

ის მთარგმნელები და მსლებლები, რომელიც ბ. რაღდეს თანა ჰქავდა მაზრის უფროსისგან იყენებ დანიშნული და ესენიც არ მცირედ შეაწერენ ამ ცნობის მოუკარე პირს, და თუმცა მართალია, თითონაც აიგოხილებს მკითხველს იმათ შემწეობით შეკრებილს ცნობებს შესახებ, მაგრამ აი ერთს აღაგას ეს სიცოთხილე თოთონ აკრიტიკსაც როგორ თავიდამ ასცდებია: რაღდე ამბობს:

«...თავად ჩოლაყაშვილმა (მაზრის უფროსმა). ჩვენ გაგვატასა რომ «ეტიკი», თუმცა მკეთა სჩანს. რომ როზედ მეტნა იყვნენ... ერთს მათგანს ერტყა გიორგი გრგვიერი და იუთ თვითონ მაზრის უფროსის, თ. ჩოლაყაშვილის. თანამდებობა ამ პატიოსანის და გულ-კეთილის კაცის (ე. ი. გოჭიერის) წარმოსადგენად ისიცა კმარა რომ, სადაც კი მივიდოდით, თუნდა იქ მცხოვრებლებს ცუდი ხმაცა ჭირნოდათ, მაინც იმას (გოჭიერს) «პაპის» (?) უწოდებდენ...» გვერ. 172.

«პაპა», მთის ხალხში ერთი სახელთაგანი არის და ამ სახელის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ ბ. რაღდე ერთ არ უკურებს საჭმეს; ის რაღაცა განსაუთრებითს მნიშვნელობას აძლევს.

«მკარისალ, ამბობს ის; რომ ეს უბრალო, უმნიშვნელო

ჩინოვნივი, რომელსაც ბრძევსა და გაუსათლებელ ხელში ამ სახელს (პაპას) უძახდებ, უნდა ყოფილიყო უოკელთვის და უველავათვის პატიოსნების იდეალი; უამისოდ «პიპს» არავინ დაუძახებდა..»

შემძლიან, დავარწმუნო, ბატონი რადდე, რომ გოჭივს „პაპს“ მხოლოდ იმისთვის ჭრიან, რომ ის სხვებისაგან გაარჩიოს. ამ აზრით შემძლებოდა იმს „დათუხს“ „ბერდია“ ან კიდევ სხვა სახელი რქმეოდა. ჩვენს მთაში თავის დღეში მაგალითი არა ყოფილა, რომ რომელიმე ლიტერატურისათვის მეტი სახელი დაერქვათ. სასელს „პაპს“ მთაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და თუ ბ. რადდეს მოუღია რადმე, ამისი მიზეზი აღმართ აუტორისაგან რომის პაპის მოგონება ყოფილა. თითონ გოჭივსაც არ აუსხნა ავტორისთვის ეს შეცდომილება, უკეთესობა, იმ აზრით, რომ ავტორის თვალში აეწია და რამე მნიშვნელობა მიეღო. არ ამისთანა გზის მჩერებლებისა და საქმის ჭეშმარიტად გადმომცემების ხელში ჩავარდიდა ბ. რადდე მოგვითხრობის ხევსურების ცროვებს, ჩვეულებას, ზნება და ხასიათს. მივუვეთ ბ. რადდეს და გეცაღოთ შეძლებასა-მებრ, გავაწოროთ მისი შეცდომილება.

სევსურეთს გარე შემორჩემული აქვს მუდამ ყინულიანი მთები, სადაც არც გზა არის, არც გვალი. ზაფხულობით ეს ადგილები წარმოგვიდგენენ მშენებლს, გამწვანებულს მთებს, მრავალივერ სუნელიან მცენარეობით მოფენილს. ზოგან არის ტუებიც, რომელთაც ხალხი წმინდა აღავს უძახის, უფოხილდება და არავის აჩენებს. ბერგან გადმოჩეხებებენ მშენებრი ანკარა წყალოები, რომელნაც განგებ გაციებულ ჭრიავსებთან: იშვე გადებ ცამდის ამართულან კლდეები თით-

ქოს ცუდით იუბნენ ჩამოჭრილნი და მათზედ ჰქესავით თეთრი ჩანჩქერნი გადმოქანებულან.

ჩინებულია ზაფხული სეპტემბერში, მაგრამ ისიც წარმოიდგინეთ ზამთარი რა უნდა იყოს:

ადრე შემოდგომიდამ გვიან გაზაფხულამდე სეპტემბერი თეთრად გადალესილია და უოველის მხრით სალს გზა შეკრული აქვს. უკელგან საჟენის სიღრმედ თოვლია წეს; არც მიმსვლელ-მომსვლელია, არც მგზავრი! წამ-და-უწუმ მოდის ძირს თოვლის ზვავები, ზოგი ისარსავით გაჩქარებული, ზოგიც ნელი, წუნარი! მთელი ზამთარი უსაქმურად უნდა ისხდენ და ისე ატარებდენ სეპტემბერი თავიანთ დღეებს; ათასში ერთ-ხელ „მზორისკენ“ (მზის მხარე) თუ წავა ვინმე „ნადირობა“ (ჯისკობ) და იმით გაირთობს სევდიანს გულს, თორემ სხვა დროს გატარებას ვინ აღირსებს. უინვა და სიცივე, ბ. რადდეს, სიტუებით, ოცს გრადუსამდე ადის, მაგრამ კვრნებ ზოგან ბევრად მეტი უნდა იყოს, რადგანაც ზოგიერთი სოფლები ებბი ათას ჭუტზედ მაღლა დგანხნ, მაგალითად — „გურია“ 6,500 ჭუტის სიმაღლეზედ არის.

სეპტემბერის სიმდიდრეზედ, ბ. რადდე ამზობს, რომ დღიდან დარჩიდი არისო და ქერიც კი ერთი-ხუთს მეტს კერ აძლევსო. არ ვიცი, ვის სიტუებზედ აფუმნებს ამ გამოკვლევას ავტორი, მაგრამ ეს კი სარწმუნოა, რომ მთას მამულებში, საზოგადოდ და სეპტემბერშიც, რაც კი მოდის, ბლობად მოდის. მართალია, იქ სხვა-და-სხვა მოსავალი არ იცის: სეპტემბერში გაცი კერ მოიუკანს სთლურს, სიმინდს, საზამთროს, ნესვს, უურძენს და სხვა ამ გვარ უფრო თბილის მხრის მცენარებს, მაგრამ იქ მოდის მშვენიერი დიგა, სკილი, შურა, ქერი და თითქმის უკელა ფეხის მოსავალი. სეპტემბერში, მარ-

თაღია სვნა-თესვას არ მისდევენ, და ბ. რადდე კერა ნახავდა გაბმულ გუთნეულებს და უწმეულებს, მაგრამ ეს არ არის საბუთი მიწის სიღარიბისა; ხალხს რომ მდიდარს მიწაზედ არა-ფერი მოჰყავდეს, მიწისა რა ბრალია! სევსურების სიღარიბის მიზეზი მიწა კი არ არის, იმათი დაუდევნელობა და გზის უქონლობაა. მომეტებული მოსავალიც რომ მოუკიდოდეს კის-მე, გასაუიდად კერსად გაიტანს და უსარგებლოდ დარჩება. ამას გარდა სევსურეთში არის მდიდარი საზაფხულო საძოვრები, რომელიც ჭრად აქცევს საქონელს და რძის სიმსუქნესა და ლალიანობას ხომ ბარის ხალხი კერც კი წარმოიდგენს. ამ გვარს მდგრმარეობაში ჩავარდნილი ხალხი, რასაკვირველია, უფრო საქონლის მოვლას მიჟუოფს სელს, კიდო მიწის მუშაობის და სხვათა შორის, ეს უნდა იერს მიზეზი, რომ რადდეს სევსურეთის მიწა ლარიბ, მოუსავლიან მიწად სხვენებია.

უოელს მოგზაურს სევსურეთში, გააკვირვებს ამ ხალხის დაუდევნელობას, საჭმელ-სასმელისა და შინა მორთულობის სიღარიბე. სევსური არა სჭამს გაცრილს წმინდა პუს, ის იმას „ქრისტეს პუს ეძხის“ და ამ სიტყვებს ღვთიური მნაშენელობა კი არა აქვს, არა, სევსურის. აზრით იმას კაცის განაზება შეუძლიან და ეს დიდი წინააღმდეგია მათის სპარტანულის ჩვეულებისა. რადდე კი ამ შემთხვევას მარტო ხალხის და მიწის სიღარიბეს აბრალებს. თან ესეც უკვირს რომ სევსურების ისე ცოტა საქონელი ჰყავთ, მაშინ, როდესაც იმის მეზობელთუშებს, ფშავებს და მოხევებს გირდიდ-ძალი ფარები და ჯოგები გაუჩენიათ. ბოლოს თითოვნევე შეოულობს ამის მიზეზს, „სევსურეთში იმდენს თივას კერ აგროვებენ, რომ გძელსა და ცივს ზამთრებში დოდა საქონლის გამოგება შემდოონ.“

თუ მიზეზი მსრულოდ ეს არის, მაში ფშაველები, თუ მები და მოხევები როგორდა იხტენებ დიდს საქონელს, როდესაც იმათი და სეკურიტების მდგრამარება, ჰქონისა და მოსავალის შესახებ, თითქმის ერთ - გარია? მე ვგრძებ, აქ მიზეზი თვის უქონლობა არ არის. არც ფშავებსა და თუ მებს ეშოვებათ ბეკრი თვია, მაგრამ იქაური დიდი საქონლის პატრონები ზამთარში საქონელს თვით კი არა ჰქონება მენა; სამოვარზე დაუდით უფრო თბილს ადგილებში. სეკურიტების უპირველესი გაჭირება ის არის, რომ გზუბი არა აქვთ და დროზედ გერჩასანაწმობულებების საქონელს, მათი მეზობელი ფშავები, თუ მები და მოხევები კი ამ მხრივ უფრო უკეთესს მდგრადი რიცხვისში არიან:

სეკურიტების ღარიბ ცხოვებას და მოწყობილობაზე არა მცირედი მოქმედება აქვს იმათს ქისტებთან მეზობლობას, რომელიც არ უსკენებენ მხთ და წამ-და-უწუმ თავს ეცემას. სადღა სცადიანთ მუდამ შიშ-ქვეშ მუთ- სეკურიტებს დად-ძალ საქონლის გასახენად და იმათ მოსავალებად! ისინი უღვევეთვის მზად უნდა იყვნენ მტრის დასასვედრად, რომელიც უკიძელება ახლო ბუჩქს ამოჟიარებოდეს ან რომელიმე ქვის იქთხ ჩასაყრებულიყოს. ამის გამო სეკურიტები უფრო ასრულზედ ზორენავენ; ცდილობენ სხეულის გამარტებას, ფარ- ხმალის ხმარებაში გავარჯიშებას და ბავშვობიდამკე მსოლოდ ამაზედა აქვთ უურადღება მიქცეული. სეკურიტება მნა, ხმალი, თლივი, ჯაჭვი, ჩაჩქანი უღვევეთვის გამართული, გაწმენდილი და მოულოდნია.

უწინ ქისტები და სეკურიტები ერთმანერთთან სრულია თანხმობით სცადვილებენ, აძლევდენ ერთმანერთს ქალებს და თუ მტრობა ჩამოუალდებოდათ რამე ერთმანერთში, ეს მტრობა

ბა კერძო საქმე იყო — ორის პირისა; ან ორის გვარეულობისა; სალხი კი არამც თუ არ ერეოდა ამ ჩსუბში, უოველსავე ღრა ნისძიებასა ხმარობდა იმათ შესარიგებლად. ესეთი მტრობა, ორის ტომის მტრობად არ ჩაითვლება, და ორგონულ კერძო მემთხვევა, თვით ხევსურებს ერთმანერთშიაც მოუხდებათ ხოლმე.

დოოქებამ გაიარა, სალხი და იმათი მდგრამარეობა გამოიცალა, გამოვიდა შამილი; იმის დროს სხვა-და-სხვა რჯულისა და ქვეუნის სალხი გამოიერება სხვა-და-სხვა ანტერესებსა და ამან წაჭიდა სამწერალოდ ხევსურები და ქისტები ერთმანერთს და ერთმანერთის მოსისხლე მტრად გადააჭირა.

ძველადგანვე ხევსური არის გმირულის ხსიათისა, გულადი, შატიოსანი და თავ-მოუკარე; უოველ ქამს მოსისხლე მტრის მოელის, და უნდა თვალი ეჭიროს, მოუმზადებელს არ მოასწრონ და სახელ-შერცსვენილი არ დარჩეს.

ვინ არიან ხევსურები და ორმედს ტომს ეკუთვნიან? ზოგ სერმანი, ორმედმაც დაბეჭდა რამდენიმე სტარია სუვერენიტეტ „Русский Вѣстник“-ში და ორმედსაც რადდე ხშირად იჩენიებს, ამტკიცებს, ორმ ისინი ჯვარის ამების დროს მოსულენი არიან და ეკუთვნიან ხევეცების ტომსათ. ბ. რ. ერისათავი კი ამბობს, ორმ ხევსურები ქართველებისა, ისებისა და სხვა მთის ხალხის ერთმანერთში არეგით წარმოსდგენო. რადდე ამ თან აზრის შეა ტრიალებს, კერ გაუბედნია გადაწუკე ტილი სიტუაცია წარმოსთვესა და ისე ფთხილობის, ორმ ეს კითხ ხვა თავიდამ აუცილებია.

თაც შეეხება ზისერმანის მოაზრებას, გადაწუკეტით შეიძლება კონკრეტული, რომ ის ამ საგანში სრულებით შემცირდა ხევსურები რომ ნემეცების ტომისა იუგნენ, არ შეიძლებოდა

რამდენიმე ნებულური სიტუა მაინც, ან ადგილების სახელები არ დარჩენილიყო ხალხში, როგორს მაგალითსაც კხედავთ რასებში. მაინც ზისურმანის თხზულება სევსურებზედ უმნიშვნელოა, რადგან იგი ისეთის გაცის ნაწერია, რომელსაც, თუ არ თავის საღსმის, სხვებში სიკეთე კერა დაუნახავს-რა. არც რადდე გვისსის რასმეს თავის სიიფთხილით. დარჩა ბ. რ. ერის-თავი, რომელსაც რაოდენადმე უნდა დაკეთანხმოთ, მაგრამ სრულებით ვი არა. მე ზევითვე ვთქვი, რომ უწინ ქისტები და სევსურები ერთმანერთს ქალს აძლევდენ და მოუკრძალენ მეთქი; მაშასადამე სევსურების სისხლში ქისტების სისხლიც უნდა იყოს გარეული; მაგრამ არც ვი შეეხება ოსებს, იმათ რაგითარი დამოკიდებულება არა აქვთ სევსურებთან და ისე მოშორებულია რიან, რომ ვერც ვი მოსვდებიან სოლმე მათ მხარეს. სევსურების გარს ახვევით ქისტები, ფშაველები, თუ-შები, გუდამაურელები (მთიულები) და მოსკვებები. აშგარაა, რომ ამ ხალხებთან უნდა ჭრონოდათ სევსურებს დამოკიდებულობა, როგორც მეზობლებთან და არა შორეულ ოსებთან. ესდაც კი-დევ იმოვით გასევსურებულ ქისტებს, ქისტურის გვარით, რო-მელნიც სისხლს გამოქცევიან და იქ შესიზნებიან. შესვდებით ათასში ვრთს ქისტებს სიტუაებს, სახელებს, მაგრამ ოსური არც გვარი, არც სასელები, არც სიტუაები არ მოიძებება სევ-სურებში; სევსურები სწორედ ქართველთა გვარ-ტომობას უნდა ეკუთვნოდენ და ეს მტკიცდება სხვათა შორის იმით, რომ მათ შორის ქართველი ენა სოფულის სიწმინდით შენახულა. მთე-ბისა, სოფლებისა და მდინარეებისათვის დაურქმევით სევსუ-რებს იმისთანა სახელები, რომელთაც მნიშვნელობა მარტო ქართულს ენაზედა აქვთ. მაგალითად: «ყაფახოს თავი», «ზემო-უბანი», «კვირა-წმინდა», «სახმეტი», (მეტი სასა, ნაკადულის)

ქვალი.) «გორბანია. აა კაცის სახელებიც: „მახია,“ „ნათელა,“ „დათვია,“ „შაშა,“ „ბერია,“ „ვეფხვია;“ წელების სახელები: „დათვის ხევი,“ „უახნევ“ (უახა ხევი); «ოსერხევი, „გუდანის-ხევია და სხვა.

ბ. რადდეს, ორმ შემწედ ქართულ ენის კარგი მცოდნე მიეწვია ამ ადგილებში, მაშინ თავის შრომას ბეკრად უფრო გაიადგილებდა და თავის აზრს უფრო გაძედვით წარმოსთქამდა. მაშინ იმის სჯასაც უფრო მტკიცე საფუძველი ექნებოდა და იმისი შრომაც იქნებოდა ფრიად გამოსაყენებელი.

მომეტებული წილი სეკსურებისა არიან შეა-ტანისა, ჩას-ხმელნი და მსარ-ბეჭიანნი; არიან პირ-ხმელნი, მუდამ წერ-მოშარეულნი და სახეზედ დაჭრილობის ნიშნები ეტყობათ; სიარულით თითქო უსერხელად დადან, მაგრამ რა კი მთის ბილიკებს შეუდებიან და შეხვდებიან სახტომ ალაგებს, გა-აცვიფრებენ ადამიანს თავიანთ სიმარდით და მოუღალაობით.

ხევსურები არიან ამაუნი, ლაპარაკობებს მეაცრად და მოკ-ლედ; თვალები აქვთ დიდორონი, მაგრამ მუდამ მოსუჭული, რადგან მზის შექის თოვლზედ ბჟუჟრიალს კერ უძღებენ. ეს უნდა იუოს მიზეზი, ორმ სეკსურების შემოხედვა უფრო, ბღვერას ემზავსება. სეკსურების უმაწვილ-ქალებზედ ეს არ ითქმის. იმათ ხშირად ისეთივე პერლუცი შეხედულობა აქვთ, ორ-გორც საუკეთესო სახლებში გაზღილებს.

როგორც საზოგადოდ ქართველები, ორმეტათვისაც კი სხეა-და-სხეა ტომების დაასლოვებას გერ მოუსწორია გარევნი-ლობის დაღის დასმა, ხევსურები არიან გულ-წროველები, პა-ტიოსნები და სტუმრის მოუკარულნი. არას დროს ისინი თა-ვის სიტევას არ გადავლენ და ვისაც ერთ-ხელ მმურად ხელს ჰაუშევენ, ადარ უდალატებენ სიგვდილამდის; ვისაც ტუკის

გაუცვლას, ან მმაღ გაეფიცების *) ან დაშვებულობილებები**), მისთვის შზად არიან თავ-განწირვით უოკელ განსაცდელს მიეცნენ. ამ გვარებები ეჭვებიან სტუმარს, ოომლისათვისაც კარები მედამ და აქვთ და სოფელში ომ შეხვიდეთ, პირველის შემხვედრის კითხვა არის: «ძალაშინებელ გეგას?» და თუ არა გეგაო, თუნდა არც გიცხობდეთ, მანც წაგიძლვებათ, თავის სახლში მიგიუვანთ და მოგიდულებთ ხავიწს, ოომელიც საპატიო საჭმლად ითვლება.

სეგსურები წინედგანებელ მართლ-მადიდებელ სარწმუნოებისა უოკელას, მაგრამ დროთა-კითხვებას და საქართველოსაცან მოშორებას რაოდენადმე შეურუევა ეს სარწმუნოება და ზოგიერთი მაჯმადიანთა წესები, ოოგორც მაგ. პარასკევის უქმობა შემოუღებინებია. რადგანაც იქ ნაკურთხი, წიგნის მცოდნე მღვდლები არა უოკელას, თავიანთვანებე ამოურჩევით დეპარტატები და ხეცესები, ოომელნიც თავისებუროადა ნათლამდენ და აქორწინებდენ სეგსურების ჩვენ საკვირვლად უნდა გვეჩენოს, ოოგორ ასერხებს ეს ხალხი ჯერ-დაუწერდად მშვიდოვნას ცხოვრებას, ოოგორ იცავს პატიოსნებას, მაშინ, ოოდესაც განათლებულს ქვეუნებში ცოლ-ქმრობის დასაცვავად სასტრიქი კანონებია დადგინდილი. მაგრამ, ოოგორც ეტეობა შპ-

*) მმაღ გაუიცების წესი ეს არის: გამჭაცველები არაყოთ ან რძიოს საგასე თაცში გერცხლის ჩასტრიან და ის თავი ფიცო უნდა დაკცალონ თრივე ახლად დამმოხილებულებმა. მერე დაჰკლავენ საკლავს და მოწმებს პურს აქმევენ.

**) შვილად შოთაკიდებლად ყმაწვილმა - კაცმა უნდა ამოირჩიოს სახლის უფროსი დედა-კაცი და ძუძუზედ ჭბილი დაადგას. რასაკვირველია, აქაც დამსწრენი უნდა იყვნენ, რომელთაც პურს აქმევენ. ამ დღიზეან შვილობილი მოელის გვარეულობისგან ნათესავად მიიღიშა

ტიოსნების დაცვას უფრო თვითონ საჭხას შექსა და სასრათ-
ჲედ უოფილა დამოკიდებული და არა კანონების სიმკაცო-
ზედ. სეპსურებში ცოლ-ქმარს შეუძლიან ერთმანერთს თავი
დაანებოს და ამას წინ კერავის აღუდგება; თუმცა ამორჩეული
ხშები გადახდევინებენ დამნაშავეს. ეს გადახდებინებაც მოქ-
მედოსს ხალხზედ, მაგრამ ისე არა, როგორც სირცხვებილი
ერთმანერთის. შეუტერებლობისა და ის შიში, რომ იქნება მე-
ორედ ქალი აღარავის მისცვეს იმას, ვინც ერთსელ კერ მოა-
ხეოს ცოლთან მშვიდობიანი ცხოვრება.

რა კი ცოლ-ქმარს ადვილად გაურის ნება აქვა, ბ. რად-
დეს ჰერნებია, რომ ქმარს გადაუხდევინებდად შეუძლიან გააგ-
დოს თავისი ცოლი და ამ გვარად რამდენიც უნდა ცოლი გა-
მოიცვალოსო. თუმცა ეს ნება, მართალია აქვთ სეპსურებს, მაგ-
რამ შემოხსენებულის მიზეზების გამო მკირად მოხდება ხოლ-
მა გაყრა, და თუ მოხდა როდისმე, დამნაშავემ, ისეთი გადა-
ხახადა უნდა გადაიხადოს, რომ ადვილად კერ აუკა.

ნიშნობა სეპსურებში, უფრო ჭალისა და კაცის სურვი-
ლით, ძალ-დაუტანებლივ მოხდება ხოლმე, თუმცა ზოგიერთ
შემთხვევაში დედ-მამა აჯვანშივე ნიშნავს; მაგრამ ჭალი ძვი-
რად გაათხოვებენ თუ წელიწადზედ ადრე და ამ ხანში საქა-
მორსაც და სარძლოოსაც ნება აქვთ მოშალონ ამ გადარი ნიშ-
ნობა. უკეთ ჩვენის მთის ხალხისაგან, სეპსურები ერთის ჩვე-
ულებით გაირჩევან, და ეს ჩვეულება. ურვათის მიუცემლობა
არის, ე. ი. სეპსურებში საქმიო არ აძლევს ჭალის პატრო-
ნებს ჭალის ფასს. ჯვარისაზენა უცერემონიოდ, ადვილად, მოხ-
დება ხოლმე. სეპსურის მდვრევი (სუცესი), რომელიც ნაეურ-
თხი არ არის, პატრონლის სასაფრი, ძალის ჩაგრეშით მეფე-დე-
დოხვალს ერთმანერის მიაგებებს, დადლოცვის უავისებანვე მო-

გონილის მიტევებით, აკურთხებს „სუფრას“, ორმელიც სტუმ-
რებისათვის არის მომზადებული და ამითი გათავდება სეპსუ-
რების კურარისწერა.

როგორც თითქმის მთელის დედა-მიწის ზურგზედ, ისე
სეპსურეთშიც, კაცი მუტი უფლება აქვს, ვიდრე ქალს, მაგრამ
ეს ჩვეულება სეპსურეთში უფრო თვალ-საჩინოა, რადგან თით-
ქმის უცელა შინა-საქმე, ქალსა აქვს თავს მოხვეული. ეს მოგ-
ლენაც ადვილად ასახსნელია. კაცი მუდამ მტერს უნდა იგე-
რებდეს, და თავის სახლობას ითარევდეს; იმას არა სცალიან
შინაურის საქმესაც გულ-მტროვალედ მოჟვიდოს.

ქალების საქმე არის კერვა, ჭრა, ქსოვა შალებისა, მკა,
სანდისხის ნამგლით თაბა, თივის მოტანა ზურგით, საჭმელე-
ბის კეთება და პერის ცხობა. ამას უცელას პატარაობიდგანვე
სწავლობენ და იმათ შორის ისეთი არავინ არის, ეს საქმები
არ იცოდეს. კაცები კი, ხვნენ, სთიბავენ ცელით, მგაში შვე-
ლიან დედა-კაცებს, დადიან სანადიროდ და ითარევენ თავიანთ
სახლობას გარეულისა და შინაურის მტრისაგან.

სეპსურეთში არის კიდევ ერთი ჩვეულება, ორმელიც გა-
იოჩევა სხვა ხალხის ჩვეულებათაგან. ეს არის, მშობიარეს
ცალებე გაუვანა, სოფლის მოშორებით გაკეთებულს სახლში,
ორმელსაც „საჩერი“ ჰქვიან. აი რას აშბობს რადდე ამა-
ზედ:

„...ორსული ქალი, ორგორც კი შეიძლება, მაღავს თა-
ვის მდგრადიარებას, და ორდესაც დაფარვა შეუძლებელი ხდე-
ბა, სხვა დედა-კაცები გაიუვანენ სოფლიდგან ერთს, როს კერ-
სზედ, იქ გაკეთებენ ჩაღურს და დაწერენ; თათხან მაშინვე მო-
შორებიან... წარმოიდგინოს მკითხველმა მშობიარეს მდგრად-
რება იმისთვის ადგილებში, ორმელიც 7000 ტუტის სიმაღლე

დეზედ არის: დასუნდაც ზომიტობის დამებაში ეხვ. 20 გრადუ-
სამძე ადას...“ გვ. 75.

თუმცა უწინვე უფრო ბეჭრად მღიერია; კიდევ რადგა ამ-
ბობს, მშობიარეს მას უცემაც მეტად გვერთა, მაგრამ ხევ
სურველში ისეთი მსუბუქი მშობიარება იყოს, რომ ჩვენი გა-
ნახებული ქალები თავისი დღეში კერი კა წაფილობენ. თუ
მშობიარეს მაცხოვნის გულმავის მვილის უთდა, კიცები მოეწა-
რებას იმ „საჩესს,“ რომელ მაცხოვის უკადეს უწევს, თავისი
სროლით აშინებენ დასუსტებულს ავდ ა მერავს და ამ ცამენ-
ტებით ჯირობ უადგინებენ. მკალის უთდას. კიდევ მეღოგი-
ნე საჩესშია პატარი კოვოების უზღვეს საგელობრივების და
ხარგმლობების შეადგენს. მკალის უთდას მემდე, ლერ-კაცი
უწინდევთხელ ითვლება იმ ღრომებით კიდევ არ იძანებს. უწ
მინდეურადე მააჩხიათ მესტროგარია მა (რიგ ში) მდგრადი ქალი
და მშობიარი გაბახვის შემდეგ ჩასრულება ხალი უაწმენდი-
ლა.

სხვად დაბრედეულო, თუ გეცი, მამა მეობასა მართავს და
ასმებს მეზობელებს და არყენს რომელსაც თბოლინებ
ხდის, და თუ ქალია, იმისა კი არა არა არა მდგრადის.

ბავ მეს მოახასიათოდა ქალი უოკელოფის საკუთხს მღვდელის
შოთვევები, ხოლო მე რადგან ამის ჭისტიანობის გამორცხულებელ
საზოგადოების განახლები მღვდელი მღვდელი მასტრიდ თვეშ-
ეურის ადეკვებები. თუმცა სათვალის დროს ჭისტიანები სა-
ხელშის არქმევენ ზეგმებს მაგრამ ხევსურები სხვა მოის საღ-
სავით, ამ სახელს არ უკერებენ, მეტს სახელს უდახოს და იმ
მეტიას სახელით უიგრის იმიტობის კათამერის, კიდევ საფრთ-
ხის სახელებით.

სევსურების უშვილობაზედ რადე ამბობს:

,,ხევსურები გვიან ქორწილდებიან წინადგე ნათევამის მიზეთ და ესევე მიზეზი გვისხნის იმათს უნაუროვნებას; მნელად შეხვდებით სახლობაში ორს-სამ ბავშვებედ მეტსა. ცნობილია, რომ უწინდევლ დორში სკანებში ქსოვადენ ზოგიერთს თავიანთ ახალ-დაბადებულ ქალებს და ასე მოქმედობდენ იმ მიზეზით, რომ ეშინოდათ, მეტად არ გამრავლებულიყვნენ და ცხოვრება სამძიმოდ არ გაჭიდომოდათ. ეგევე შეიძლება ვთქვათ ხევსურთ ჰევანაზედ.“

,,ამიტომაც,“ განაგრძობს ბ. რადე, „,ხევსურებში, დიდ სირცხვილად მიაჩნიათ, თუ შვილი ქორწინების შეძლება თთხის წლის წინად გაუწინდათ... და რომ ამ თთხის წლის განმავლობაში შვილი არ ეყოლოთ, „ჩსსახვისთვის შეერთებას“ ბოლომდის არ ათავებენ...“ 79—80 გვერ.

თითონ ამ სიტუაციდამის მტკიცდება ზოგიერთ ცნობებს რა მსუბუქად მოჰყიდებია ბ. რადე. კინ უამბობდა ასე დაწვრილებულს ამბავს ცოლ-ქმართ საიდუმლო ცხოვრებიდგან. თითონ ხევსურებია არ უამბობდენ, სასულიერო წოდების შირთ, მღვდლებს არ ეცოდინებოდათ და ჩინოვნიერების სიტუაციები დასხვოდა კი, თითონ რადე ამბობს, მნელიათ.

მე ათასჯერ მქონია შემთხვევა ამ ხალხის ჩვეულების შეტყობისა, მქონია ხშირი მისვლა-მოსვლა, მაგრამ სრულიად არაფერი გამიღონია მაგ-გვარ ჩვეულებაზედ.

ბევრი ბავშვები ერთად რადეს იმიტომ არ უნახავს, რომ პკარის-წერის. შეძლებ, ცოლ-ქმარი ცალკე გადის და ცალკე მეკომურს შეადგენს; სხვა მთის ხალხში კი ბეკრჯვე მესამე თაობაც არ იურება და ერთადა სცხოვრობს. რახა-

კვირკველია, ერთის ცოლ-ქმრის შვილები, უფრო ნაყლები უნდა იყვნენ, სანამ ათისა, როგორს სახლობასაც არა იშვიათად შეხვდებით მაგალითად „ხეგში.“

ა. შაზბეგი.

(დასასრული შემდეგს ნომერში)

ახალი შიგნები.

დაგითიანი, აქმული გურამიშვილის დაუმუშავანისაგან, გამოცემული
გილობრივი ზაფირალიანისაგან, პეტერე უმიკაშვილის რედაქტორობით.
თბილისი, 1881 წ.

კერძო კატეგორია, წიგნები ცოტა გვაჭვსო; ქართულ ენაზე
ბევრი წიგნები იბეჭდება, მაგრამ ზოგი ისეთი წიგნია, რომ
შეუძლიან მკითხველს ქართული ენაც მოამუშოს და ქართული
მწერლობაც. რასაკვირველია, ამ გვარ წიგნთ რიცხვში არ ჩა-
ითვლება „დავითიანი.“

ეს თხზულება ძვირ-ფასი უნდა იყოს უღელ ქართველი
სათვის ისტორიის მხრით. ჩვენდა საუბედუროდ ჯერ არავინა
გვჟავს ქართულ ისტორიის კარგი მცოდნე, რომელსაც შეეძ-
ლოს მოხოვრაჭიების წერა და ჩვენი გაცნობა ჩვენს წარსულ
ცხოვრებასთან. ისტორიული თხზულებები არა გვაჭვს და მე-
ტი ღონე არ არის, ჩვენი ისტორია უნდა ძველის წიგნებიდან
ამოვივითხოთ. „დავითიანი“ ამ მხრივ უმნიშვნელო არ უნდა
იყოს, რადგან დ. გურამიშვილს მიუღია მონაწილეობა თავის
დროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში და ამას გარდა ხშირად
გამოსთვავს თავის თანამედროვეთა მოთხოვნილებას.

„დავითიანის“ კითხვა დიდად ასამოვნებს მკითხველებს
ლიტერატურულ მხრითაც. ის არის დაწერილი უბრალო ხა-
ხალხო ენით, მსუბუქ, საამო - ხმოვან ლექსით და ზოგჯერ

ნამდვილ შრეულობის ნიჭით, თუმცა სას-დასახ კრეობა გადაჭარ-ბებული წყალ-წყალარბა და რეტორიკა, მაგრამ უს ავიწყდება მყრას კედლს, რადგან მთელს წიგნს გულ-წრფელობისა და შეფის ნიშანია აძევს.

„დავითისნის“ აზრი ანუ ტენდენცია, რასაც ვიწყები, ან მოქმედება ესლახდებს ქართველს, რადგან ესლა ის მოსური სიწენარე და სხეულის გადაჭარბებული დამონება, რომელსაც ჰქანავს პოეტი, უკელას, სასაცილოდ და უსარგებლოდ მიაჩნია. ესლა სხვა იდეალი გავქვის, სხვა სენი გავწესებს. მაგრამ, როგორც ზემოდა ვთქვით, ეს ტენდენციაც უურადღების დარსა, როგორც მასადა ჩემის. მწერლობის ისტორიასა-თვის,

მეტად შესანიშნავია ის შრომა და ცდა, რომელნიც უს-მარნია გამომცემებს, და რედაქტორს.

წიგნი დაბეჭდილია თვით ავტორის სელ-ნაწერიდამ და მასშია მოქცეული უზველი იმისი ნაწერი: რელიგიურის სასია-თოთ: (მაგალ. ა. კვარცხლის ამბავი) „უტირილი დვოის-მშობლი-სა,“ „ღვთის-მშობლის მიცვალების დღის შესხმა,“ და სამ-ლორ ისტორიიდამ აღებული ეპიზოდები ლექსიდ მოთხრო-ბოლონ. ამათ შორის დიდი ადგილი უჭირავს გალექსილიავე რე-ლიგიურ დარიგებას.) ისტორიულის ხასიათით. (უმეტეს ნა-წილად აღწერილია საქართველოს პოლიტიკური მდგრადებების მე-XVIII საუკუნეში, როცა მეფე ვახტანგი მივიდა მოსკოვს) და წმინდა ლიტერატურულის ხასიათით („მხარეული ზაფხუ-ლი“ ანუ როგორც ხალხში უწოდებენ „ქაცვია მწევმსა“, ღექ-სადგე თქმული მოთხრობა, რომელმაც გერლაზ მოგად სჩის გურამიშვილის პოეტური ნიჭი).

თხზულებას მიუძღვის პეტე უმიგამებილის წინა-სიტ-

უკალბა, სადაც მოკლედ ნაამხობია აკტორის ცხოვრება; იმშემ
ნაწერის: „შინაარსი და გამოთქმულია რამდენიმე კრიტიკული
შენიშვნა. წიგნი დაბეჭდილია გარე ქადაღდზე, ცოტა კორექტ-
ტურულ შეცდომებით, სუვთად. ფასი დანიშნულია ზომიერი;
წიგნი 342 შეა-ზომის გვერდით ღისს ერთ მახათად.

თუ უკელა შესანიშნავი ძველი ქართული თხზულება და-
იძებულება ასე გეთილ-სინიდისიანად, იმედი უნდა ვიქრნიოთ,
ძველი დროს შესწავლა გაადვილდება და იქნება აღმოჩნდეს
იმისთან: პირიც, რომელმაც გაჰყედოს ასალ გზაზე დადგომა
— ჩვენის წარსულის მეცნიერებულად გაცნობა...

აქ ასე მოკლედ კლაპარაკობთ გურამიშვილის ნაწერზე,
იმიცომ რომ იმედი გვაქმნა, „იკრიაში“ გარჩეული იქნება
უფრო დაწერილებით ცალკე სტატიაში.

ამავ საგანზე „იკრიაში“ იყო დაბეჭდილი ლორ სტა-
ტია, (იხ. „იკრია“, 1880 წ. № 1, 2) და ორიოდ შენიშ-
ვნაც არის დაწერილი გიორგი წერეთლისაგან, რომელმაც ამ
ათის წლის წინად გამოსცა თავის წინა-სიტყვათბით პირველი
ნაწილი „დაკითიანისა.“

ემაწველი და ფრინგელი, თხზულება თავადის ს. გ. ტუ-
სიშვილისა. თბილისი. 1881.

არა მგრინია, მეითხველი ისეთი უწევალო იყოს, რომ
მოგვთხოვთ ამ წიგნის შინაარსის გადაცემა. თუ მაინცა-და-
მაინც არ დაიშლით და ანგარიშს მოგვთხოვთ; უნდა გაგიტ-
ედეთ, რომ თუმცა გულ-მოდგინედ წაკიგითხეთ თავიდამ ბრა-
ლომდე ეს „გალექსილი“ თხზულება თავადი ს. გ. ტუსიშვი-
ლისა, მაგრამ გაგებით კი კერა გავიგეთ-რა.

მხრდლოდ ერთი რამ შესანიშვილი აშოგაშინება თავად ტუსიშვილის თხზულებაში. ქრისტე ლექსო-წურაბი სრულებით საჭირო არა ყოფილა, რომ მარცვლების რიცხვი სტრიქონებში თანასწორი იყოს, ან სიმეტრიით განაწილებული. ამა წაიგითხეთ ეს ჩანა თავად ტუსიშვილის თხზულებისა და მაგ მანეთ, როთი ჩამოუკარდება ეს ლექსი ჩვენის გამოჩენილის პოეტების ლექსებს, რომელ შიაც მარცვალთ რიცხვი სტრიქონებში ერთი-და იგივეა:

«რა ქნას სუმბულმა
«როს ეშიო თროლდეს,
«საცრეფო არ უჩნდეს, მაგრამ
««მოდიო», მწარს გაჰკიოდეს!»

ჩვენც დავსკათ გაეკირკების ნიშანი და მადლობა მოვახსენოთ თავად ტუსიშვილს ამ გვარის ახალის კანონის ამოჩენისაგთვის!

„იველის“ გელეორისტისა.

(«შემთხვევის მსხვერპლის», ოხზ. გ. ჭრელაშვილისა — «იმედი» პირველი წიგნი. «მარციანთ პაპა» მოთხ. შაქროსი — «იმედი» მეორე წიგნი.)

დღეს ჩვენ გვინდა მივაჭრიოთ მკითხველების უურადღება რას მოთხოვთას, რომელიც „იმედში“ არიან დაბეჭდილი. და თრიოდე სიტყვა კოქვათ მათზედ, რადგან ჩვენში ჯერ ბევრს არ ესმის, რა არის მოთხოვთა და რა მნიშვნელობა უნდა ჟერნდეს მას; ბევრს იმისთხასაც კი არ ესმის ესა, რომელსაც კალამი აუღია და „მოთხოვთას“ წერისათვის მიუუვია ხელი.

ჩექი, მთელი კულტურული, მორდების შეგნიშვნა ნაკლულება-
ნებას ამ მთათხოვნებისას და მთას ღიასი გენერაციას მოიწიდება და
სიყვარული მეტადან საჭიროა. ახალ-გაზდა მწერლების გა-
სარჩევად. ახალ-გაზდა მწერლი წმინდა სახით დასკირდით იგრი-
ხება და ყოველივე სიტუაცია მოქმედობს მასზე. თუ უმეტმა-
და დაუდევარმა სიტუაცია ცუდად იძრულდება. და ერთს მხარეს
მიჰკრისა, მასგან ბევრი ცდაა საჭირო, ბევრი უბილი სიტუაცია-
რომ სელ-მეორედ შეთბეს იგი და სხვა სხვა, სხვა სასირთო
მიღლოს.

შირველი მთათხობა — „შემოხვევის მსხვერპლის“ მაღლა
სდგას მეორეზედ უფრო იმით, რომ თავიდამ ბოლომდე ერ-
თანინი აზრია გაუცანილი, თავიდამ ბოლომდე ერთს ამხავს მის-
დევს და სხვა-და-სხვა გარემობრივი არ უშლის სელს აკოტოს,
არ ეჩხირებიან შიგ შეა შოთხობაში.

ქვრივი ეფემია ზედის ორს თავის ვაჟი-შვილს, დაჭარის
მათ და ცდილობს ოჯახს უკაცობა არ დაეტეოს. დილიდამ
საღამომდე შრომობს, ხსნ ცხენზედ ჯდება, და საერთო მამუ-
ლების განაწილებაში ესწრება (ეს ამბავი ქიზიერის ცხოვრებიდამ
არის), ხსნ მუკლეფავ სომხებს სასლში არ უშებს და კალოდამაც
კა ფილით უკან გამოუდგება და ასულ კუდით ქვრის აკოტო-
ნებს.“

ოჯახი იქნება არის დაუენებული, შვილებიც წამოეს-
წრენ ეფემიას; აა უფროსის დაჭრწილების აპონებს; დანიშ-
ნა კიდეც ერთს მეზობლის ქალს — თამარზედ, მაგრამ ახლად
დანიშნული შვილი ეფემიასი — სახდორ, ღეპებში, მიღის შერის
საუიდად, რადგან ახდო, მახდო, პერი, არსად ძერ. იუიტა
ხურიბალი, წაღლო წისჭილში დასაფეხვავად, იქ ლეპტოახ სხვა

ბი მოუვიდა, რადგან უნდოდა ძხილაში ბრძოლა სპეციალური ჩემისა და ეფექტური ამ ჩსებში მოჰქმდეს გვემდის ურთისამი მაუზე.

რასაკვირებელი ა ბევრი. მწუხაჭა, ფუჭმისმაც, ასამირმაც მაგრამ უფრო უარესი უბედურება და დარღვევათ კარგი ეფექტის მერცევას, გვას, ცვრას, წევრის დროს, რადგან ბრძოლა წარუდის ტანა გადატანა თან კვირის ავადიმულოფობის შემდეგ ესლა კი გედან აიტანა დედამ მწერალება:

« შემოიტყო, ორივე ხელებით თავში და გადაეცვია, თამარი; თამარ მაც გადასდო ეფემის ხელი და შესკირებ იროვებ ერთმანეროს; რძალდებამთილი მეტის მწუხარების გამო შესცდნენ ჭავიდან და დარჩენ სამუდამო ხელ-გადახვეულები.

«დღესაც ეფემის და თამარი ზედგადარვეულები დარბინ საფლავებზე და უცირებენ, კომისანეროს და გვამი სანდორ და გვიგათ! »

კი არის მოკლედ მიხარის მი მოთხოვობისა. თუ წაიკითხავენ რასმე „იმედის“ პირველს წიგნში ისეც ამ მოთხოვობას წაიგირხსკვენ და ბევრმა იქნება, კი დარიგებაც გამოიყენოს ამ მოთხოვობისამ, რომ გაცი რაც უნდა ეცდოთს და ისხი ერთ მაინც ეს წერის-სოიველი ფუჭი და დაუდგრომელი და კაცი სრტერ არა დაეუწეობა-რაო.

ჩვენ ბევრი არას გჭრუვით ამ მოთხოვობის დასასრულის შეუფერებლობაზედ: იმაზედ, თუ როგორ სარძლოს, ქმრის სიკვდილის შემდეგ არა დაუშავდა-რა და მაზელის შემდეგ გაჭერაზე შესცდა; როგორ რძალ-დედამთილი სამუდამოდ ხელ გადასცეულები დარჩენენ, კი მოლო ალმად კორექტურის შეცდობა და იქნება „იმედის“ მეტამეტრიზმი ეს შეცდომაც გაასწოროს, როგორც მეტარე წიგნში „ათევი“ ცალსწორების (იხილეთ „იმედი“ მეორე წიგნი, გვ. 164.) შესანიშნავ უფრო კარისული რას ემსალდებოდა და კორექტური ეფემის მიზანები და რისტკის დაჭრება. ისინი ან მხნება შეიძლებისათვის თავ-

გადადებული დედა რად დასტინჯა ისე უწეაღოდ? მართალია ღებუში ჩხუბიც მოხდება ხოლო, ხანდისხან კაციცა კვდება, ხან ბოლმაც წამოუკლის ადამიანს, მაგრამ ეს ისეთი განსაკუთრებული შემთხვევაა, რომ ამის საზოგადო მოვლენად ჩათვლა ამის განზოგადობა დიდი შეცდომაა აკტორისა. ჩვენ, იმის მიმდევარნი არ კართ, რომ მოთხოვობა უპტენელად დარიგებას უნდა აძლევდეს და იმის მაგალითს უჩვენებდეს, რომ მხერ ადამიანს უოველოფის მისი შრომის სამაგიერო მოქლის, მაგრამ როგორ არ ვთქვათ რომ ცხოვრებაში უფრო ასე ხდება, როდესაც მხერ და ზარმაცი ერთსა და იმავე პირობაში არიან, და მოთხოვობაც, თუ ის ნამდვილი სარგეა ცხოვრებისა, ამ გვარს მოვლენას უნდა გვიხატავდეს თვალ-წინ.

ერთის სიტყვით ლამაზად იწყობა კორეგი ჭრელაშვილის მოთხოვობა, ცოცხალის, მარტივის ენითაც არის ნაამბობი, არც უადგილო გადახვევ-გადმოხვევაა, მაგრამ ბოლო კი ისეთი აქვს, რომ სრულებითა ჭრება მისი კარგი შთაბეჭდია და.

უსაფუძვლოდ არ დავამჯობინეო პირველი მოთხოვობა მეორეს — „მარტიანთ პაპს“: ასე გამიხვეთ, ამ უკანასკნელის შინაარსის გადმოცემაც კი გვიჭირდება. ვინ არის ეს მარტიანთ პაპა? რად არის აღწერილი იმისი. ცხოვრება? რა ტიპია წარმოდგენილი?

თხეთმეტის წლისა რომ იურ „პაპა“, „მამა მოუკვდა; მერე მამას „სული აუსხნა“ ე. ი. წირვა გადაუხსდა მღვდლის წეაღობით; მღვდელმა წირვის ფასში ორის წლით მოვამაგირედ დაიჭირა. მერე ცოლი შეიართო „პაპამ;“ გჭესი ქალი დაეხვია თავსა; მემათბედა მხერედ, მაგრამ მაინც კერ ასდიოდა ოჯახს. ერთ-ხელ კენახში წოლის დროს სიზმარი ნახს, შეე-

შინდა მალე არ მოვუდეთ, თავისი უფროსი ფამეტისწერის
ქალი შერთო ერთს ბრუნიანს დადაქს, ზესიძე შეიუგნა და
შემდეგ სული ღმერთს მიაბროა: აი ეს ამბავი არის 44 გვერ-
დზე გაჭრედებული.

უფერული ცხოვრების აღწერაზე და თითონ მოთხოვბაც
უფერული უნდა გამოსულიყოთ, იქნება სოვებს ზოგიერთმა,
ებ ჩვენც ვიცით, ორმ გლეხ-შაცების ცხოვრება, უფერულია,
მაგრამ, თუ მწერალს ნიჭი აქვს თითონ ამ უფერულობაში უნ-
და მონახოს იმისთანა მხარე, ორმედსაც მკითხველის გატა-
ცება შეეძლოს. აკტორსაც მოუნახავს ზოგიერთი ამისთანა მხა-
რე: გლეხი იმიტომა ცოცხლობს და ტანჯვა-წვალების ცხოვრე-
ბას არ უტევდება, ორმ უოუელივე, რაც კი გარშემო არ ტერა
დიდს სიამოვნებას აჩვენებს მას.

ის (გლეხი) უგელის ივწევებს, როცა თავის შავ-ოვალუ ხალი-
შევტელავს მოღრუბლელ თვალებში. უკრს არ გიგდებს გლეხი, გინდ
მისი ბედ-ილბალი ხელის გულზე გადეშალე, როცა მზრუნველი თვა-
ლით უმზერს თავის დოდა-ფურს!... ის (გლეხი) უსევებას და სოც-
ებობებას ხარ-კამეჩში, საქონელში, სარში, ცაბიკში, ქაში და სხვა მის
გარშემო მყოფში პოვს. ვის არ უნახამს, რომ გლეხს უეკუგარებოდეს
როგორ ქვა, აკვიდნოს, წელი მოეწყვიტნოს რამდენიმე ვერსის გამო-
ტარებით და ჩამოლების დროს სიამოვნებით წაელედლულნოს: «მარნის
კუთხეთ, საბძლის კუთხეთ....»

აკტორს მართვა მიუგნია, რაც აცოცხლებს და ასულ-
დგმულებს გლეხის გუდს, მაგრამ მოთხოვბისთვის კი კერ გა-
მოუკენებია. ზემოდ ამოწერილისთანა ჭრაზები ბევრია მოთ-
ხოვბაში გაბნეული, მაგრამ იმათ მსე არა აქვთ კავშირი
მარტიანთ პაპასთან, როგორც ჩვენ ჩინეთის იმპერატორთან.
აი ეს არის სხვათა მორის. მიზეზი რომ თითონ მოთხოვბა
სიტუაცის მდინარეს წაუგნია და დავიწევების ზღვაში ჩაუგდია.

წაგრითა კოს ვათვავდახით მოკლე მოთხოვბზე და, რომ
იყიდებოთ, რა ვამოვიტანება შასუს ვერას აღტუკით.

— მარტინისიტუვებით არ არის რეც მოთხოვბა გატეხილის
სხვა-და-სხვა ამბებიც ბევრია:

— აი ვენახშირორა გლეხი მუშაობს კროს ახველებს, რო-
გორც კურიდა აწერილი ჭლექი სტრიცა დაპარაფიტენ თა-
ვიანთ ბედ-იღბალზე სამსართხეს გვერდზე.

— რა დამოვიდებულება აქვს მათ დაპარაფეს მოთხოვბასთან;
მარტიანთ შეპასთან?

— არაფერი.

— გლეხები ვენახში მუშაობენ და „ვნაზი“ და ვნიაზება“ ბე-
რონის სახლის ბაღებზე ცეკვა სეკრძოდა დაპარაფიტენ.

გვესმის რომ აკრის ეს სცენა იმიტომ აუწერია, რომ
დაგვანახვოს ზოგი როგორ ბევრსა მუშაობს და არავერთი რჩე-
ბა ხელში და ზოგი კი უმრობილად როგორ უქორამდე საგრძნო.

— დიად კარგი აზრია, მაგრამ რა დამოვიდებულება აქვს
ეს აზრს „მარტიანთ შეპასთან?“

— არაფერი.

აგრ მგელი შემოვარდა სოფელში, ძალები გამოვდა
გნენ და გაიღდეს აგრ სოფელშივე შემოვიდენ ნაჩალენიკო და
მისი „პრალენი“ ცხენებით. სოფელების ქუდ-მოხდოლები
მოეგებენ. მართლია, მგელიც ხშირად შემოდის ხოლო სო-
ფელში, ნაჩალენიკო, „პრალენიც“ მაგრამ მკითხველმა რა და-
ამძინა, რომ მოთხოვბის მაგივრად რაღაც ცცობოდო ამბებს
უშმობთ, რომელნიც უბრალო ძალითაც კი არ გადაგიქრებით
გრომასერთზე.

— თითონ „მარტიანთ შეპა“ ისეთი ტიპია, რომელსაც აფ-
ოროვ სრულიად თანაუგრძნებს: „იქნება ჩვენი შეპას და გელი

სხვა გარემოებაში ქვეუნის ნაფარ-ტეტრის (3) მჩქეფარე ბაირონის გული გამომდინარეთ და ეპრა ვი უწევისტი და ჰუდა. მოუკარული გული ცგმოვიდათ!“ ამბობს ასე.

არ მართლა, რა კმიობა ჩაიდისა კორონედ ფლაბამ! ა ბერაზედ იყო სალისი გასული და ჩაიგარმა მათრახი გააკრა პაპას:

«საბრალომ ცეკვილი დოდი იგრძნო, მაგრამ წელში აიმართა. მხეცმა ჩაფარმა დაჭრივდა და თვაში, სახეში დაუშინა მათრახი. ამ ნადირის საყვარელი აზრი იყო, სუსტი მოეცა გლეხისთვის, ისე რომ ის გაჭერებდა და მხოლოდ მაშინ ანებებდა თავს მსხვერილსა... პაპას დავთარში გაქცევა არ ეწერა და მათრახს გაჭერნდა შლაპა-შლუპი... ის იღვა ერთს ალაგს, მინამ ამ ნადირის ცემა არ მოსწყინდა.

«მაშ უნდა ჰქონდა რამე ცებილი დანერგული გულში პაპას, რომ ასე ირანდა თვის საზარელს ხვედრს...”

არ ვიცით გულში რა ჸქონდა დანერგული, ეს კი ვიცით, რომ ძარღვებში თქვენს პაპას სისხლის მაგივრად დო უნდა სდგმოდა.

როგორ შეეფება ან ეს სცენა ქართველ გლეხ-კაცის ხასიათს? მოწმად არის დაბარებული პაპა და რადგან სასამართლოსიც ეშინიან და იმ პირისაც, რომლის წინააღმდეგ უნდა იმოწმოს, ეკედრება მოსამართლეს: ეხლავ გამიშვი შენი გვნესამეო, და დაეცემა მუხლებზე ტირილით?!

არა, თქვენი „პაპა“ ან თქვენის ჭანტაზის ნაუღობია, ბატონია ავტორო და არა ჩვენის ცხოვრებიდამ ამოღებული, ან უცხო ქვეუნებიდამ ჩვენს ლიტერატურაში კონტრაბანდით შემოტანილი.

„იმედის“ მეტრი ნომერზედ სხვას გერას ვიტუვითა იგია
ულკეულ ჭრაზების ზღვა, ნიმდვილი ნაყოფი დიაკვნურის პე-
რიოდისა, რომელიც მოჰქეა შარშან ბ. ნიკოლაძისაგან. ამოა
ჩენიდს აკვნურს შერიცდს.

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოეა ახალი წიგნები:

რჩეული ლეპსიგი და სხვა თხზულებანი

თ. მიხეილ ბირთველის ძის თუმანიშვილისა

წინა-სიტყვაობა.— ლექსიგი.— ბაღჩისარაის შადრევანი,
ბოება პუშკინისა.— სალაფო ფურცელი.— ქართული თეატრი
(კორონცოვის დროის.)

ფასი ექვსი შაური.

მითოლი ფარანი

საყმაწვილო მოთხოვა, რესულიდამ გადმოღებული

ზორავი ანდრონიკაშვილისაგან.

გამოცემა წერა - კითხვის საჭიროებისა.

ფასი ერთი აბაზი.

n 383
1881

ଭାରତ-ବ୍ୟାକ

1881 წელს უკრნალი «ივერია» გამოვა უფლებ-ოვე არა ნაკლებ სურათის დიდის თანახმად ასაღის უყრო კრიტიკის პროგ- რამით და ასაღ თანამშრომლების დასმარებით.

յազգական գաղտնությունը պահպանվելու համար ամենահաջարակ է այս գործությունը:

ხელის-მოწერა მიღება:

ଠବିଲୀରେ, «ଫରନ୍ଦୋ-ଇଗ୍ରାନ୍ତିକ୍‌» ର୍ଜ୍ୟାକ୍ଷ୍ରୋଦି, (ପାଞ୍ଚମିତି ଶକ୍ତିକାଳରେ ପରିପ୍ରକାଶିତ), ତ. ଓ. ଏ. ଏ. ମୁଖ୍ୟାନ୍ତକ୍ସରିଲେ ସାବଲ୍ଲେବିଦି, ହର୍ଷିବିଲ୍ଲିଙ୍ଗିନ୍ଦିରା ମନ୍ତ୍ରି)।

მუთასში: «დოფლება-ივერიის» აკენტთან ი. ჭურნიასთან
(სიღაზე, მირიან ჭურნიას სახლში.)

ქალაქს განეშე მცხოვრებით უურნალ-გაზეთი ამ ადრესით
უნდა დაიბარონ:

Въ Тифлісъ. Въ Редакцію Дроэба-Иверіи.

୩୧୬୮

	1 წლით.	6 თვეთ.	3 თვით.
«დროება» დ. «ივერია» ორიკე ერთად	14 მან.	8 მან.	5 მან.
«ივერია» ცალქე — —	7 მან.	4 მან.	2 მან.
«დროება» ცალქე — —	9 მან.	5 მან.	3 მან..

უკრალი-გაზეთის ფული ხელის-მომწერე დაბარებისა-თანავე უნდა
გამოგზავნოს რედაქციაში.

ნომერის ხელის - მომწერისაც კი უკრნალის ნომერი არ შეივა
უმორჩილესადა ვოხვით გვაცნობოს რედაქციაში და ვეცდებით შალე
გაგზგზავნთ დაკარგვული ნომერი.

ନେତ୍ରପ୍ରକାଶନକୁ ମୋହନ ପାତ୍ର. ଅପରାଧିତାଙ୍କ ଦ୍ୱାରା ଆପଣଙ୍କ ମହିଳାଙ୍କ ପରିବାରକୁ ପରିପାତ୍ର କରାଯାଇଛି।